დანართი №1

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის წესი

მუხლი 1. რეგულირების სფერო

ეს წესი არეგულირებს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის პროცესს, რათა უნივერსიტეტმა მიიღოს სტუდენტთა ის ოპტიმალური რაოდენობა, რომლისთვისაც შეძლებს ხარისხიანი უმაღლესი განათლების მიცემას საკუთარი მატერიალური და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით, აგრეთვე უნივერსიტეტის და/ან ფაკულტეტის სტრატეგიული მიზნების შესაბამისად.

მუხლი 2. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის პროცედურა

1. ყოველი სასწავლო წლის არა უგვიანეს 15 ნოემბრისა იწყება სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის პროცესი მომავალი სასწავლო წლისთვის.
2. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის პროცესს ახორციელებს ფაკულტეტის ადმინისტრაცია უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულთან თანამშრომლობით, მათი კომპეტენციების შესაბამისად.
3. ფაკულტეტზე მისაღებ სტუდენტთა რაოდენობას ამტკიცებს აკადემიური საბჭო ფაკულტეტების წარდგინებით.
4. ფაკულტეტის საბჭოს წარდგინება უნდა ეფუძნებოდეს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიას.

მუხლი 3. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია (24.02.2020, №17/2020)

1. სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვა ერთი მხრივ, მოიცავს შესაბამისი სამიზნე ჯგუფების რაოდენობებისა და პროგნოზირებისთვის საჭირო მონაცემების გათვალისწინებას, ხოლო მეორე მხრივ, უნივერსიტეტის რესურსული პოტენციალისა და შეთავაზებული სერვისების ანალიზს, რაც გულისხმობს კონტინგენტის დაგეგმვის პროცესში რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენებას. რაოდენობრივი მეთოდი გულისხმობს დროითი მწკრივის რეგრესიის გამოყენებას, რომელშიც დამოუკიდებელი ცვლადია დრო. საპროგნოზო ცვლადების შესახებ ინფორმაცია მოიცავს ბოლო სამი წლის მონაცემებს. პროგნოზირებისათვის გამოიყენება შემდეგი ფორმულა:

$$\hat{Y} = b_0 + b_1 t$$

სადაც

- $\hat{Y}$ - *წარმოადგენს Y-ის საპროგნოზო ცვლადს ან შეფასებულ სიდიდეს. პროგნოზირებაში დრო - დამოუკიდებელია ცვლადია;*
- b_0 - *წრფივი ტრენდის გადაკვეთის წერტილი;*
- b_1 - *წრფივი ტრენდის დახრილობა;*
- t- *დროის პერიოდია;*

შეფასებული რეგრესიის განტოლების კოეფიციენტის გასაანგარიშებლად შემდეგ ფორმულას ვიყენებთ:

$$b_1 = \frac{\sum_{t-1}^{n}(t-\bar{t})\,(Y_t-\bar{Y})}{\sum_{t=1}^{n}(t-\bar{t})}$$

2. შესაბამისი სამიზნე ჯგუფების, მათი რაოდენობების და პროგნოზირებისთვის საჭირო მონაცემების ანალიზის კუთხით სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისას მხედველობაში მიიღება წინა არანაკლებ სამი სასწავლო წლის სტატისტიკური მონაცემები სწავლების საფეხურების, ფაკულტეტების და/ან საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად, კერძოდ:
ა) ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ჩარიცხული სტუდენტები (მათ შორის უმაღლესი განათლების კანონით განსაზღვრული კვოტის ფარგლებში ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულები - აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი, აფხაზურენოვანი და ოსურენოვანი სტუდენტები);
ბ) საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგად ჩარიცხული სტუდენტები;
გ) დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხული სტუდენტები;
დ) ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ჩარიცხული სტუდენტები;
ე) საერთო სამაგისტრო გამოცდების გარეშე ჩარიცხული სტუდენტები;
ვ) მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირები;
ზ) მობილობით გადმოსული სტუდენტები და სხვ.;
თ) გამოცხადებული საკონკურსო ადგილების რაოდენობა და რექტორის ბრძანებით ჩარიცხულთა რაოდენობა;
ი) დარჩენილი ვაკანსიების რაოდენობა;
კ) სემესტრების (შემოდგომა/გაზაფხული) მიხედვით სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა რაოდენობა;
ლ) სემესტრების (შემოდგომა/გაზაფხული) მიხედვით სტატუსშეწყვეტილ სტუდენტთა რაოდენობა;
მ) სემესტრების (შემოდგომა/გაზაფხული) მიხედვით სტატუსაღდგენილ სტუდენტთა რაოდენობა;
ნ) მობილობით გადასულების რაოდენობა;

ო) მობილობით ჩარიცხულების რაოდენობა;

პ) შრომისა და განათლების ბაზრის მოთხოვნების ანალიზი;

ჟ) კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი;

რ) მიმდინარე სასწავლო წლისთვის დამამთავრებელ სტუდენტთა რაოდენობა.

3. რესურსული უზრუნველყოფისა და შეთავაზებული სერვისების ანალიზის კუთხით სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისას მხედველობაში მიიღება:

ა) ფაკულტეტის მატერიალური და საინფორმაციო რესურსი და მისი თანაფარდობა სტუდენტების არსებულ/დაგეგმილ რაოდენობასთან. კერძოდ: საერთო, სასწავლო და დამხმარე ფართის მოცულობა, სასწავლო აუდიტორიების რაოდენობა და მოცულობა, კომპიუტერული და სხვა სახის ლაბორატორიების მოცულობა და რაოდენობა, ბიბლიოთეკების ხელმისაწვდომობა, სივრცე სტუდენტთა დამოუკიდებელი მუშაობისთვის, კომპიუტერების და სხვა სახის ტექნიკური საშუალებების არსებობა და მათი რაოდენობა და სხვ.;

ბ) ფაკულტეტის ადამიანური რესურსი და მისი თანაფარდობა სტუდენტების არსებულ/დაგეგმილ რაოდენობასთან. კერძოდ: საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის თანაფარდობა სტუდენტების არსებულ/დაგეგმილ რაოდენობასთან; საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის, მასწავლებლების და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა; ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის თანაფარდობა სტუდენტების არსებულ/დაგეგმილ რაოდენობასთან;

გ) ფაკულტეტის ფინანსური შესაძლებლობები (მაგალითად, ფაკულტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი სტრუქტურა პერსონალის ხელფასზე, სამეცნიერო კვლევებზე, სტუდენტურ სერვისებზე, პრაქტიკებზე, მივლინებებზე და სხვ.);

დ) უნივერსიტეტის და/ან ფაკულტეტის სტრატეგიული მიზნები და პრიორიტეტები;

ე) სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისას მხედველობაში მიიღება უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებული შემდეგი სერვისების ანალიზის შედეგები: ეროვნული და საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე საგანმანათლებლო პროგრამების მრავალფეროვანი არჩევანი; მონაწილეობის შესაძლებლობა უნივერსიტეტში მიმდინარე კვლევებში; სოციალური მხარდაჭერა; კარიერული განვითარების სერვისები, სტაჟირებისა და პრაქტიკის შესაძლებლობები; აქტიური სტუდენტური ცხოვრების შესაძლებლობები, კულტურული და სპორტული ღონისძიებები; საერთაშორისო გაცვლითი პროგრამები; საინფორმაციო-ტექნოლოგიური მხარდაჭერა; საგამოცდო ცენტრის მიერ ობიექტურად ორგანიზებული გამოცდების გამჭვირვალე სისტემა; სტუდენტური პროექტების შემუშავებისა და განხორციელების შესაძლებლობები; სტუდენტური საცხოვრებელი და სხვ.